

პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი


E-Bulletin No:5

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020 პირველი კონკურსის ფარგლებში

პროექტის BSB257 ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის (ZEWSGES) საკოორდინაციო ყოველთვიური შეხვედრები

2018 წლის 30 ნოემბრსა და 2019 წლის 11 იანვარს სვიაპის საშუალებით შედგა BSB257 პროექტის ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის (ZEWSGES) - პირველი და მეორე თვიური ონლაინ საკოორდინაციო შეხვედრები.



ონლაინ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს, პროექტის კოორდინატორებმა, საზღვაო კოორდინატორებმა, ეკოსისტემის შესახებ განათლების კოორდინატორებმა, პროექტის ფინანსურმა კოორდინატორებმა, ნამიქ ქემალის უნივერსიტეტი-თურქეთი, ბულგარეთის მუნიციპალიტეტ ნესებარის ტურიზმის განვითარების საბჭოს, კვიტას გეორგიკა-საქართველოს, უკრაინის საზღვაო გარემოს დაცვის ასოციაციისა და SUM-ის (ეკოსისტემის განათლების სერვისების კონტრაქტორი ფირმა) ექსპერტმა.

შეხვედრების დროს მონაწილეებმა განიხილეს პროექტის აქტივობები. შეხვედრის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა იყო საზღვაო გაწმენდითი აქტივობების განხილვა. ZEWSGES პროექტის განაცხადის მიხედვით, შეიქმნება რეპორტირების სისტემა მონაწილეობითი პროცესისა და ანგარიშების მართვის გრძელვადიანი მდგრადობისთვის. აღნიშნული სისტემის შემუშავება მოხდება შესაბამისი სანაპირო დასუფთავებისა და საზღვაო ნარჩენის შეგროვების ღონისძიებების ფეხდაფეხ. შეიქმნება ანგარიშების ფორმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას პარტნიორ ქვეყნებს შორის ანგარიშების განსხვავებული ასპექტების თანმიმდევრულობა, თუმცა უნდა აღნიშნოს რომ, სისტემა იქნება მოქნილიც, რათა მოხდეს სხვადასხვა საწყისი შეფასებებების მორგება იმპლემენტაციისა და შედარების სტატუსებთან მიმართებაში სამიზნე რეგიონებში.



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

E-Bulletin No:5

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020 პირველი კონკურსის ფარგლებში

ანგარიშგების ფორმების, პროექტის საერთო კონცეპტუალური მიდგომისა და ანგარიშგების სისტემის, ასევე საერთო სტრუქტურისა და შინაარსის შემუშავების, შემდგომ, მოხდება დარჩენილი ანგარიშგების ფორმების შემუშავება, შედარებით სწრაფად და შეუფერხებლად, რომელიც განხილულ იქნება კონგრესისა და ვორქშოპების დროს. აღნიშნული ანგარიშგების სისტემის ფუნქციონირებას მოახდენს პარტნიორი ინსტიტუცია, რომელიც ევროკომისიის შესაბამის დირექტივებთან თავსებადობის გათვალისწინებით კონგრესისა თუ ვორქშოპების ორგანიზებაზეა პასუხისმგებელი. აღნიშნული სისტემის მართვას მოახდენს PCU, ის გამოყენებული იქნება, როგორც ერთგვარი პლატფორმა საზოგადოების ინფორმირებისთვის მონაცემთა ვიზუალიზაციის საშუალებით, რათა მოხდეს გარემოს მდგომარეობის გაცნობა მეცნიერული ცოდნის გაუმჯობესებისათვის. საზღვაო მონაცემთა და ინფორმაციის ინტეგრაცია გადაიხედება მმართველი კომიტეტის მიერ.

პროექტის საზღვაო კოორდინატორების მიერ პირველი ონლაინ საკოორდინაციო შეხვედრის დროს მოხდა შემდეგი საკითხების ხაზგასმა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე:

1. ყველაზე ლოგიკური ტერიტორიების იდენტიფიცირება კვლევისთვის
2. კვლევის განმახროციელებელ ორგანიზაციებთან/ინსტიტუციებთან კონტაქტების დამყარება
3. ეფექტიანი კვლევის სისტემის შემუშავება და შენარჩუნება
4. ინტერვიუერთა/გამომკითხველთა გადამზადება
5. მონაცემთა შეყვანა ბაზაში ბაზის რეგულარული ხარისხის უზრუნველყოფა
6. მონაცემთა ბაზის შენარჩუნება
7. მონაცემთა ანალიზი შესაბამისი ინსტრუმენტების საშუალებით
8. რეგულარული ანგარიშგება/რეპორტიინგი
9. მეთოდოლოგიის განგრძობადი გაუმჯობესება

საკვლევი ტერიტორიების შერჩევასა გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

ტერიტორიის ლოკაცია

- პორტებისა და ნავსადგურების სიახლოვეს
- მდინარის პირებთან სიახლოვე;
- სანაპირო ურბანულ ტერიტორიებთან სიახლოვე
- ტურისტული ადგილების სიახლოვეს
- შედარებით მოშორებული ადგილები

ტერიტორიის მახასიათებლები

- მინიმალური სიგრძე 100 მ;
- დაბალი ან საშუალო დახრა;
- ზღვასთან წვდომა
- კვლევის ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი მთელი წლის განმავლობაში
- იდეალურ შემთხვევაში, ადგილზე არ უნდა ტარდებოდეს გაწმენდით სამუშაოები.
- კვლევის აქტივობებმა საფრთხე არ უნდა შეუქმნათ გადაშენების საფრთხის წინაშე ან დაცულ სახეობებს.



Project funded by
EUROPEAN UNION



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

E-Bulletin No:5

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020 პირველი კონკურსის ფარგლებში

კვლევების ჩატარების სიხშირე და დრო, რეკომენდირებულია სულ მცირე 4 კვლევის ჩატარება წელიწადში. გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომაზე და ზამთარში. თუმცა, სეზონური ცვლილებებით გამოწვეული განსხვავება ზღვის სანაპიროებზე გამორიყული ნარჩენის რაოდენობის კუთხით, შესაძლოა მოიტანოს კვლევების უფრო გაზრდილ სიხშირით ჩატარების საჭიროება. რათა მოხდეს მნიშვნელოვანი სეზონური პატერნების იდენტიფიცირება, რომელიც შესაძლოა გათვალისწინებულ იყოს ნედლ მონაცემთა გრძელვადიანი ანალიზის დროს.

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020

მასალის რედაქტირება: ნამიკ ქემალის უნივერსიტეტი

გამოქვეყნების თარიღი: 21 იანვარი, 2019 წ.

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020 თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში და ასევე მისი მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოთქმული შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ნამიკ ქემალის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.



Project funded by
EUROPEAN UNION

